სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

04/07/2025

MES 9 25 0000823644

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2025 წლის საგაზაფხულო მიღების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ვადების განსაზღვრის შესახებ.

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების, „2025 წელს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 04 მარტის MES 3 25 0000232437 ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. აპლიკანტებმა, რომლებმაც 2025 წლის საგაზაფხულო მიღებაზე პროფესიული ტესტირების, მოტივაციური გასაუბრების საფუძველზე მოიპოვებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლებას, 2025 წლის 07 ივლისიდან 14 ივლისის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნდა წარმოადგინონ ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია (იხ. დანართი №1).

2. რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნეს შესაბამის ფაკულტეტზე (იხ.დანართი №2).
3. ბრძანების შესრულება დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზაზა ბუაჩიძეს.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს თამარ წერეთელს.
5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს.
6. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ბუაჩიძე ზაზა